ეროვნული ბიბლიოთეკა


# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 84 | ნიუ იორკი, ივნისი 1970 წ. | **GEORGIAN OPINION** | NEW YORK, JUNE 1970


**ნიუ იორკი, ივნისი 1970 წ.**

ორმოცდა თორმეტი წელი . . . თავისუფალ ქვეყნებში გაბნეული ქართველები 52-ჯერ იკრიფებიან, რათა გაიხსენონ ის ნეტარი დღე, როდესაც საქართველომ თავისი სანუკვარი აღისრულა, ეროვნული პიოვნება იპოვნა და თავისუფალ ე რ ე ბ ი ს მსოფლიო ოჯახში როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა შევიდა.

ეს მოხდა 1918 წლის მაისის 26-ს.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება ერთხელ კიდევ თვალი გადავავლოთ განვლილ მოვლენებს.

52 წელიწადი დიდი მანძილია . . . ეს მთელი ეპოქაა . . . ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. კინემატოგრაფიული სისწრაფით წარმოშობილ და განვითარებულ მოვლენებს თვით ფხიზელი გონების ადამიანიც ძლივსა სჭვრეტავს . . .

ამ ხნის განმავლობაში გამოიცვალა თვით გეოგრაფიული რუკაც. ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის და სხ., გუშინდელი კოლონიები, დღეს სრულიად დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოებია. გუშინდელი მპყრობელი, დღეს ძმური და მეგობრული მრჩეველი, დამხმარე და ხელისშემწყობია ახლად წარმოშობილ ეროვნულ ერთეულების ეროვნულ მისწრაფების განსახორციელებლად.

უცვლელი დარჩა მხოლოდ რუსული იმპერიალიზმის ბუნება, წესი და ზნე; მისი მსოფლიო ჰეგემონიის მისწრაფება.

აგრეთვე უცვლელი დარჩა საქართველოს გაუტეხელი ნებისყოფა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“ და საქართველოს ბედი თბილისში უდა იჭედებოდეს და არა მოსკოვში. ეს გადაიქცა ყოველი ქართველის უპირველეს და გადაუდებელ პრობლემად.

52 წლის მანძილს წითელ ზოლათა სდევს ქართულ-რუსულ ინტერესთა წინააღმდეგობა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ხან აქტიური და ხან პასიური წინააღმდეგობა.

ურყევი დარჩა რუსული იმპერიალიზმის ქართველი აგენტების ცდაც, რათა დაამტკიცონ, რომ 1921 წ. თებერვალში ადგილი ჰქონდა არა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას, არამედ „შინაურ რევოლუციას“, ე. ი. „ქართველი მუშა და გლეხი აუჯანყდა ქართველ „მემამულეს და კაპიტალისტს, განდევნა ბურჟუაზიული , მენშევიკური მთავრობა“ და იქ მუშათა და გლეხთა დიქტატურა დაამყარაო.

52 წლის მანძილზე ამ დებულების გარშემო ტრიალებს რუსული პროპაგანდა, მაგრამ ვერ იქნა და ქართველი ერი ვერ დააჯერა ამის სისწორეში.

საიდან წარმოიშვა ეს იდეა და რატომ დასჭირდა დამპყრობელ და გამარჯვებულ რუსეთს, დაპყრობილი და განიარაღებული ქართველებისთვის ამგვარი აფსურდი შეექმნა? რაში დასჭირდა თავის მართლება?

ამის განმარტებას ვპოულობთ ლენინის წერილში, რომელიც მან 1921 წლის აპრილის 18-ს ქართველ კომუნისტებს მისწერა.

„საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით სასტიკი კომპანია სწარმოებს დასავლეთ ევროპაში რუსერის წინააღმდეგ. საჭიროა საქართველოს რევკომმა ენერგიული კონტრპროპაგანდა ჩაატაროს და დაამტკიცოს საბჭოთა რუსეთის კეთილგანწყობილება საქართველოს მიმართ და რომ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა დაამხეს ბურჟუაზიული მთავრობა“-ო.

აი ძვალი, რომელსაც დაეხვივნენ და ღრღნიან რუსული იმპერიალიზმის ქართველი აგენტები 52 წლის განმავლობაში და 52-ჯერ სხვა და სხვა ვერსიით იმეორებენ. შეიძლება ახალმა თაობამ არც იცის ამ მოვლენის ნამდვილი ვითარება და ზოგმა მართლა იფიქროს, რომ იქნება ქართველი მუშის და გლეხის მდგომარეობა იმდენად უმწეო იყო, რომ მართლა მშველელად და მხსნელად მოიხმეს რუსეთის „კლასიური მეგობრები?“

ამიტომ ჩვენ შევეცდებით მეტი ამონაწერები მოვიყვანოთ თვით კომუნიზმის იმდროინდელი ლიდერების ოფიციალური განცხადებებიდან.

ლენინის ბრძანებას, უპირველეს ყოვლისა, სერგო ორჯონიკიძე გამოეხმაურა. იმ დროს ის ითვლებოდა ამიერკავკასიაში მოსკოვის „თვალად და ყურად“. მან ვრცელი მიმოხილვა გააკეთა ქართული „პროლეტარიატის“ მდგომარეობაზე და დაასკვნა: „ამ ტრაღიკულ ბედში მყოფ მცხოვრებთა აუჯანყებლობა შეუძლებელი იყო და აჯანყდა კიდეც. რუსეთის წითელი არმია აქ მხოლოდ აჯანყებული მუშის დასახმარებლად მოვიდაო“. ორჯონიკიძე ამ სიყალბის მტკიცებას ისე გაუტაცია, რომ უფრო შორს მიდის და აცხადებს: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვიაო“. ორჯონიკიძეს პირველი ცნობით აჯანყება დაწყებულა ბორჩალოს მაზრაში და „შემდეგ თვით საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა“. „შიმშილით და საქართველოს მთავრობის ძალადობით გაწამებული საქართველოს მშრომლები აჯანყდნენ ბურჟუაზიის აღვირახსნილი ღრეობის წინააღმდეგ . . . აჯანყებულებმა ძმური დახმარებისათვის მიმართეს წითელ არმიას, რომელიც დაუყონებლივ გამოეხმაურა“-ო. და სხ. (იხ. ს. ორჯონიღიძე, სტატიები და სიტყვები ორ ტომად. ორჯონიკიძეს ყველა ციტატა, თუ ცალკე არ იქნება წყარო აღნიშნული, ამოღებულია დასახელებული წიგნიდან).

ცხადია, ამას თან სდევდა საგაზეთო პროპაგანდა, რომლის ამოწერა, ან მასზე ყურადღების შეჩერება არა ღირს, რადგან ეს ერთი და იგივეს განმეორება იქნება. აქედან გამონაკლის მხოლოდ ბერია წარმოადგენს, რომელსაც აღარ დაუნახია საჭიროდ ძველი ლათაიების განმეორება „ქართველი მუშის და პროლეტარის აჯანყების შესახებ და საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის 35-ტე წლისთავზე აცხადებდა, რომ „1921 წ. თებერვალში რუსეთის წითელი არმიის დახმარებით განთავისუფლდა საქართველო მენშევიკური ბატონობისაგან და იქ დამყარდა საბჭოთა დიქტატურაო“ (იხ. „იზვესტია“, თებერვლის 25, 1936 წ.)

„აკადემიკოსი“ ხაჭაპურიძე უფრო შორს მიდის და გვიმტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობა თვით უპირებდა აზერბაიჯან-სასომხეთში მდგარ რუსული ჯარის ნაწილებს თავდასხმას და სისტემატიურად არღვევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას და 1920 წლის დამლევისათვის „ის კიდეც გაუქმებული იყო მენშევიკების მიეროˮ. „ქართველი მხედრობა პროვოკაციულად მოქმედებდა 11-ტე არმიის მიმართ და წითელ და ფოილოს ხიდს შორის აზერბაიჯანის საზღვარზე მდგარ წითელ ჯარს ესროლა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯარმაო“. (ხაჭაპურიძეს ყოველი ციტატა ამოღებულია მისი წიგნიდან: „ბოლშევიკი გრუზიი ვ ბოიახ ზა პობედუ სოვეტსკოი ვლასტი“. სახელმწიფო გამომცემლობა 1951 წ.).

ხაჭაპურიძეს მტკიცებით საქართველოს მთავრობა უწყალოდ სდევნიდა კომუნისტებს და „1921 წლის იანვრისათვის დატუსაღებულთა რიცხვი ყოფილა: თბილისში —ასამდე, ქუთაისის საკატორღო ციხეში — ორასზე მეტი და სხვა ციხეებში ასამდე. ამგვარად 400-ზე მეტი პარტიული ამხანაგი იჯდა ციხეში“-ო, ასკვნის „ამხანაგი აკადემიკოსი“ და აგრძელებს: „მენშევიკები იარაღდებოდნენ, მათი ჯარი მზად იყო ბრძოლისათვის. 1920 წლის დეკემბრის 12-ს ქართველ კომუნისტების განცხადებაში ნათქვამია: თბილისის გარნიზონი დღე და ღამ ფეხზე დგა, ჯავსნოსანი ავტომობილები მზად არიან, ჯავსნოსანი მატარებლები მოძრაობაშია. ქალაქის რაიონები ღამე პროჟექტორებით ნათლდება . . . და სხ.“

ხაჭაპურიძეს რწმუნებით, საქართველოს საომარ სამზადის რუსეთზე თავდასასხმელად ზედ ერთვის საქართველო-სასომხეთის ხელშეკრულებით „სომხეთის ტერიტორიაზე“ ქართული ჯარის ყოფნის სწორედ 1921 წ. თებერვლის 11-ს ყავლის გასვლა. საქართველოს პირობა არ შეუსრულებია და „სასომხეთის“ ტერიტორიიდან ჯარი არ გაუყვანია. უსარგებლია რა ამ და სხვა მსგავსი მოვლენებით და გაუთვალისწინებია შინაური, თუ საგარეო პირობები, „კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის სახელით ორჯონიკიძე ბრძანებას აძლევს ქართველ კომუნისტებს შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად. აჯანყების დღეთ დაინიშნა 1921 წ. თებერვლის 11-და 12 ღამე. პირველ დღესვე სამი ათასი ჯარისკაცი ჩაბარდა აჯანყებულებს . . . ყაზბეგის მხარეზე სამხრეთით აჯანყდნენ მთის ქართველები, აჯანდნენ ბორჩალოს, დუშეთის, გორის, რაჭის და ლეჩხუმის მშრომელექი. აჯანყების ალში გაეხვია სამეგრელო, გურია, აჭარა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“.

თუ ხაჭაპურიძეს დაუჯერებთ, აჯანყებულა მთელი საქართველო და ქართული ჯარი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ბარდებოდა აჯანყებულებს! მაგრამ მაინც აჯანყებულებს საჭიროდ დაუნახავთ, რომ დახმარება ეთხოვათ „ძმურ წითელ არმიისათვის“, რაც დაუყონებლივ მიუღიათ.

ხაჭაპურიძესავე ცნობით, რუსულმა 11-ტე არმიამ და 18-ტე კავკასიურმა დივიზიამ შეუტია სომხეთ-აზერბაიჯანიდან, ქლობას კავალერია და 13-ფეხოსანი დივიზიის 98-ტე ბრიგადამ კი ჩრდილო კავკასიიდან იერიში მიიტანა მამისონის უღელტეხილითო“.

საკითხავია: რიღასთვის შეაწუხეს „ძმური წითელი არმია“ თუ მთელი საქართველო აჯანყების ალში იყო გახვეული და ქართული ჯარიც ნებაყოფლობით ნებდებოდა აჯანყებლულებს? მაგრამ ხაჭაპურიძესთანა „აკადემიკოსებს“ ლოღიკა არ მოეთხოვება!

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ყველაფერი შორეული წარსულის ამბავია და დღეს ამის მსგავს ზღაპრებს აღარ იმეორებენ!? ამისანა დაეჭვებულებს ურჩევთ თვალი გადაავლონ რუსული იმპარიალიზმის ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთ „სამშობლოს“, ან გადიკითხონ ალ. ქუთათელის „პირს პირი“ და სხვ. და დარწმუნდებიან, თუ როგორი გულმოდგინებით და ენერგიით ცდილობენ ხალხს თვალებში ნაცარი შეაყარონ და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა (ლენინის ბრძანების თანახმად) შინაურ „რევოლუციად გამოაცხადონ.

ჩვენ უფრო ქვევით შევეცდებით დოკუმენტალურად დავამტკიცოდ რუსული პროპაგანდის სიყალბე. ეხლა კი ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ ქართველი კომუნისტების იმ დროინდელი ლიდერის — ფ. მახარაძეს სიტყვები.

1921 წლის დეკემბრის 6-ს ფ. მახარაძეს მიურთმევია მოსკოვისათვის მოხსენება, სადაც აღწერილია საქართველოს მდგომარეობა და აცხადებს:

სიმართლე უნდა ითქვას, რომ დასაწყისში, თითქოს, სწორი პოზიცია გვქონდა. ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც ვამტკიცებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ გააუქმებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და წითელი არმია მხოლოდ იმისთვის მოვიდა, რომ ანტანტის იმპერიალისტური ბრჭყალებისაგან ეხსნა მშრომელი მასა . . .“

„ჩვენ უნდა ახდილად ვაღიაროთ ფაქტი, რომ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში ხალხი შესჩვევია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას . . .“

„თავიდანვე ჩამოყალიბდა მმართველობის რამოდენიმე ორგანო: ერთის მხრივ ცენტრალური კომიტეტი, (იგულისხმება კომუნისტური პარტიის) და რევკომი (ასე უწოდებდნენ იმ დროს მთავრობას), რომლებიც უმაღლეს ორგანოებათ ითვლებიან, მხოლოდ ნომინალურად, მეორეს მხრივ კი სამხარეო კომიტეტი და 11-ტე არმიის რევოლუციონური საბჭო, რომელიც ფაქტიური უმაღლესი ორგანოებია“.

„ეს უკანასკნელნი სწყვეტენ ყველა პოლიტიკურ საკითხებს საქართველოს ცაკისა და რევკომთან შეუთანხმებლად“.

„საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ:

1. „წითელი არმიის შემოსვლამ საქართველოში და აქ საბჭოთა რეჟიმის გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარეშე ძალის დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან იმ დროს შინაურ აჯანყებაზე არავინ არა ფიქრობდა“.

2. „საბჭოთა რეჟიმის გამოცხადების დღეს საქართველოში არ აღმოჩნდა არამც თუ არც ერთი პარტიული იაჩეიკა, არამედ არც ერთი წევრი პარტიისა, რომელიც შესძლებდა ხელისუფლების ორგანიზაციის მოწყობას და ძალა-უფლებას დაეპატრონნენ მეტად საეჭვო ხალხი, უმთავრეს შემთხვევაში კი უბრალო კრიმინალები“.

(ხაჭაპურიძეს მსგავს აკადემიკოს პროპაგანდისტების მოვალეობაა, ჯერ დაამტკიცონ, რომ ფ. მახარაძეს ეს ცნობები ყალბია და ის „კონტრრევოლუციური და იმპერიალისტური გავლენით იყო დაწერილი, ან რომ სავსებით არ დაწერილა. მხოლოდ შემდეგ გვიმტკიცონ „შინა-რევოლუცია“ და ქართველ მუშის და გლეხის აჯანყება!

ფ. მახარეს ხმა ჩააწყვეტინეს. ეს მის ზნე და ბუნებას ეგუებოდა, მაგრამ ამ პოზიციის გამზიარებელი ქართველი კომუნისტების სხვა ლიდერები, რომელთა „მოთოკვა“ და მოთვინიერება მოსკოვმა ვერ მოახერხა, წუთი-სოფელს გამოასალმეს.

ფ. მახარაძემ და ქართული კომუნიზმის პირველმა პლეადამ მტვრად და ნაცრად აქცია ორჯონიკიძე-ხაჭაპურიძეს და მათი ამყოლი რუსული იმპერიალიზმის ქერთველი აგენტების „რუსეთის მიერ ქართველი მუშის და პროლეტარის განთავისუფლების“ დასაბუთების ცდა.

ეხლა გადავხედოთ თუ როგორი „ენტუზიაზმით“ შეხვდა ქართველი ხალხი, ან ქართველი მუშა და გლეხი რუსეთის დამპყრობელ არმიას?

ექვსი კვირა გაგრძელდა თავდაუზოგველი ბრძოლა. მარტის 18-ს, მთავრობა, დამფუძნებელი კრების და პოლიტიკური პარტიების ლიდერები სტოვებენ საქართველოს. (გამონაკლისი იყო მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ბათუმში დაადგინა: დარჩეს სამშობლოში და გაიზიაროს ქართველი ერის ხვედრი). როგორც ყოველი დამარცხებული ერი, საქართველოც, გლოვის პროცესშია და უცდის საოკუპაციო ხელისუფლების პოზიციის გამოვლინებას.

რუსული ოკუპაცია, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა რკინისგზების, ფოსტა-ტელეგრაფის, ფინანსების და ეკონომიური პოლიტიკის გაერთიანებით. ამას მოჰყვა ქართველი მუშის უფლებების შეკვეცა და, თანდათანობით, მისი სამუშაოდან დათხოვნაც. როგორც „დამკომის“ წევრი იასონ ჯავახიშვილი აცხადებდა გასამართლების დ რ ო ს: თ ე ბ ე რვალში ქართველი მუშა და გლეხი კი არ აუჯანყდა „მენშევიკურ მთავრობას“ და არ განდევნა იგი, არამედ რუსმა და სომეხმა მუშამ განდევნა ქართველი მუშა და დაიკავეს მისი ადგილი.

ორჯონიკიძე ეხება რა ამ მოვლენას, აცხადებს: „ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მუშებ შორის არ შეიძლება იყოს რაიმე ეროვნული განსხვავება. ავრიოთ ეროვნული საკითხი და მუშათა საკითხი, მივცეთ უპირატესობა ეროვნულ მომენტებს და არა რევოლუციურ მომენტს . . . და სხ.“

აქ კომენტარიაც ზედმეტია . . . აშკარად არის ნათქვამი, რომ ეროვნული მომენტები განდევნილია, როგორც საოკუპაციო ხელისუფლებისათვის არა საიმედო . . . ქართველი მუშა იდევნება და მათ ადგილს რუსი მუშა იჭერს. შეიძლება ერთი წუთით მაინც დაუშვათ, რომ ეს „არა საიმედო მუშა“ ორჯონიკიძე და მისი რუსი არმიისათვის აჯანყდებოდა?

ორჯონიკიძე ამავე მოხსენებაში ეხება ინტელიგნციას და კერძოდ მასწავლებლების საკითხს: უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვინც ბავშვებს წერა-კითხვა უნდა ასწავლოს . . . ამიტომ ჩვენ საკუთარი მასწავლებლები უნდა გვყავდესო“, მაგრამ დაასკვნის: „როგორ შეიძლება გადმობირება მასწავლებლების . . . როგორი ურთიერთობა ექნება მას ჩვენთან, როდესაც დღეს იგი დამშეულია . . . და სხ.“

ესეც საკმარისია წარმოვიდგინოთ რუსული იმპერიალიზმის ქართველი აგენტების დასაბუთება, თუ რატომ „თაბარვალით სამუდამოთ დაგვიზამთრეს მაისი“.

განვლილი 50 წელიწადი მრავალერიან სასახელმწიფოების ე. ი. იმპერიების ნგრევის და ეროვნულ სახელმწიფოების წარმოშობის ეპოქაა. ვერც რუსეთი გაექცევა ჟამთა სრბოლას და ადრე თუ გვიან მის რკინის ფარდასაც შეარღვევს სხივმოსილი ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეა. ჩვენ სამშობლოსაც მოეფინება დამოუკიდებლობის შუქი.

ჩვენი ყოველწლიური დღესასწაული არ არის წარსულის, გარდასულის მოგონება, არამედ ის მომავლის საკითხია, ყოველი ქართველის ბრძოლისა და შრომის საკითხი . . . რუსთაველის სამშობლოს შინაგანი ძალა გადასწვდება რუსული იპერიის დარღვევასაც და ის კვლავ დაიკავებს თავისუფალ მსოფლიო ოჯახში საპატიო ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოცდა ექვსი მაისი

ორი კვირის წინ, შაბათს, ჩვენი აღდგომა იყო. პარიზში ვიყავი და ვემზადებოდი აღდგომის წირვას დავსწრებოდი. ერთმა მეგობარმა გამაფრთხილა, რომ წირვა ღამის ათ საათზე დაიწყება და დილის პირველ საათამდე გაგრძელდებაო. ეკლესიაში რომ მიველი თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა და კიდევა მქონდა დრო, რომ ხალხით გაჭედილ ეკლესიაში თორმეტ საათამდე შევსულიყავი და ქრისტეს აღდგომის სიხარულით ძველ მეგობრებს მივსალმებოდი. ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გაბრწყინდა და განახლდა ჩემს თვალში, როცა ქრისტეს აღდგომის საგალობელს ვისმენდი. უცბად ჩემი თავი ვიგრძენი ახალ სამყაროში. გალობის დროს ცრემლი მომერია, მომაგონდა ის დრო, რომელიც ამ ეკლესიაში გამიტარებია; ჯვრის წერა თუ დასაფლავება, რომლებსაც მრავლად დავსწრებივარ. მთელი ჩემი წარსული ცოცხლივ ალსდგა და თვალწინ წარმომესახა. მინდოდა დავბრუნებოდი განვლილ წლებს, წლებს ჩემი ახალგაზრდობისა, იმ ნეტარ დროს, როდესაც სავსე ვიყავი მომავლის იმედებით და მდიდარი ფანტაზიებით.

როდესაც მამა ილიამ წარმოსთქვა: „ქრისტე აღსდგა“, ჩემი განცდა იყო, თითქოს ახალ სამყაროში შევდიოდი და ახალ ცხოვრებას ვიწყებდი. მკვეთრად განვიცადე, რომ ქართველი ვარ; გუნდიც ქართულად გალობდა „ქრისტე აღსდგას“. მგალობელთა სახეს რომ ვუცქეროდი, ნათლად ვხედავდი რომ მათი წლოვანება 30 წელს არ გადასცილებია. ყველას ჯანსაღი შეხედულება ჰქონდა, მაგარი და სიყვარულით აღვსილი გამომეტყველება. თვალი ვერ მოვაცილე ამ საუცხოო ახალგაზრდების სახეს, ამ გრძელი წირვით მათ სრულიად დაუღალავ შეხედულებას. გეგონებოდა რომ ძალას იძენდნენ წირვა-ლოცვის განცდით.

როგორც მოგახსენეთ, მგალობლები ახალგაზრდები იყვნენ„ თითქმის ყველა საფრანგეთში დაბადებულები. მათ მიიღეს ფრანგული განათლება და გულშემატკივარი წევრები არიან ფრანგული საზოგადოებისა. მიუხედავათ ამისა, დიდათ განსხვავდებიან ფრანგებისაგან. ეს „სგვა“ არის აღზრდა. მშობლებმა ისენი აღზარდეს ქართულ ისტორიულ ტრადიციებზე და ამით მყარი საფუძველი მისცეს თავიანთ შვილებს ცხოვრებას მომზადებული შეხვედროდნენ.

ჩემმა ფიქრებმა უკან, სახლში გამიტაცა . . . ა მ ე რ ი კ ე ლ ახალგაზრდობისაკენ მიმახედა, რომლებთანაც მე ხშირად მისაუბრია და მივხვდი თუ რატომ ისენი ვერ განიცდიან ბედნიერებას.

მათ სურთ გამოარკვიონ საკუთარი ვინაობა და ცხოვრების მიზანი და არ იციან თუ როგორ; სურთ აღადგინონ საზოგადოებრივი წონასწორობა და ვერ უპოვიათ საშუალება. ჯ. ფ. კენედის, რობერტ კენედის და მარტინ ლიუთერ კინგის აუხსნელი გა დაუმართლებელი მკვლელობით და ვიეტნამის გამოუცხადებელი ომით თავზარდაცემულებმა დაკარგეს ყოველგვარი წესი, აღარ არსებობს არავითარი მორალური კანონი. . . ახალი გზის ძიებაში გაბატონებულია მხოლოდ ძალადობა.

ვიეტნამი რომ არ არსებულიყო, იმედ გაცრუებული ახალგაზრდობა სხვა რამეს გამოძებნიდა უკმაყოფილების გამოსამჟღავნებლად.

ჩვენ მიწიერები ვართ. ცხოვრება შეედრება ხეს . . . ხეს, რომელსაც ფესვის გასადგმელად სჭირდება მიწა, მოვლა და პატრონობა, სხვანაირად ის ვერ იხეირებს, ვერ აყვავდება.

ჩვენ ამერიკელები ვართ. თუ დღევანდელ ახალგაზრდობაში რაიმე პრობლემა არსებობს, ეს ჩვენი პრობლემაა.

თუ გვსურს ცხოვრების გაჯანსაღება სინამდვილეს გაბედულად უნდა დაუპირდაპირდეთ. ცხოვრება არის დახმარება და პოზიტიური მოქმედება. ჩვენი მდიდარი ეროვნულ-ისტორიული ტრადიციებით ჩვენ ვეხმარებით ამ ქვეყანას, რომელსაც სცნობენ და აფასებენ.

ჩვენ გვაფასებენ ჩვენი პიროვნების გამომჟღავნებით, თუ რამდენად სასარგებლოა ეს ჩვენი გარემოცულობისათვის, და რამდენად ვეხმარებით საზოგადოებას.

ეს ეხება, როგორც პიროვნებას, ისე ერს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რასაც ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ამ მოსაზრებების გამომჟღავნებაა.

დამოუკიდებლობამ საქართველოს წარსულში მისცა ოქროს ხანა და ხელი შეუწყო არამც თუ ქრისტიანულ ცივილიზაციას, არამედ ძველი დროის მითოლოგიასაც. ამირანი ქართულ კავკასიონის მთებში იყო მიჯაჭვული. იასონმა და არგომავტებმა, კოლხიდის მეფის ქალიშვილის ჯადოსნური დახმარებით ხელში ჩაიგდეს ოქროს ვერძი.

მსგავსმა მოვლენებმა შექმნეს საქართველო ისეთი, როგორმაც ჩვენამდე მოაღწია. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ საქართველო თავისუფალი ყოფილიყო, ის ამაღლდებოდა და აყვავდებოდა. თავისუფალი საქართველო თავის თავს მსოფლიოს განაცვიფრებდა არა მარტო თავისი მდიდარი კულტურული წარსულით, არამედ მას შეეძლო ეთქვა ახალი აზრი, თავისი განცდა გამოესახა მუსიკის ახალი ნიმუშებით, დაეხატა ბუნება, რომელიც მან ნახა და ქვეყნიერებისათვის გადმოეხედათ შემოქმედების მაღალი მწვერვალიდან.

ქართული შემოქმედებითი უნარის სამაგალითო სურათია ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველების მაგალითი.

მშობლიურ ჰაერს ნატრულ, მაგრამ თავისუფლებით გასხივოსნებულმა ქართველებმა, რომლებიც აქ ცხოვრობენ, პროცენტულად, დიდი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენი სათვისტომოს ერთმა წევრმა, პავლე ჭავჭავაძემ თარგმნა სვეტლანა ალილუიევას ავტობიოგრაფიული წიგნი: „მხოლოდ ერთი წლის შემდეგ“.

ვაშინგტონში კათოლიკების უნივერსიტეტის პროფესორმა, გ. ნაკაშიძემ თარგმნა დუმბაძეს რომანი და ამ ჟამად მუშაობს ქართული ლიტერატურის კრებულზე.

ბ-ნ გ. პაპაშვილმა, შეერთებული შტატების ლიტერატურას შესძინა: „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, „მადლობა ნოეს“ და სხვ.

„ჯორჯ ტაუნ“ უნივერსიტეტის პროფესორმა, კირილე თუმანიშვილმა დიდი ხანი არ არის დაასრულა „ქართველების ღვაწლი ბიზანტიის ისტორიაში“, რომლის გამოცემაც განზრახულია მომავალი წლისათვის.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი თომა უილიამ ტომპსონი კვირაში სამჯერ კითხულობს ლექციებს „ძველ ქართულ ენაზე“.

პეტრე გოლდი, ორი წლის წინ ჩვენი სტიპენდიანტი, ლექციებს კითხულობს ქართულ მუსიკაზე.

მ ო მ ა ვ ა ლ ი წლისთვის ვიმედოვნებთ დავეხმაროთ პროფ. თუმანიშვილის ერთ სტუდენტს, რომელსაც განზრახული აქვს გამოაქვეყნოს თავისი სადოქტორო შრომა: „საქართველო ბასტიონი რუსეთსა და ოსმალეთს შორის“.

ქართული სათვისტომოს გამგეობა ამ ჟამად მუშაობს ქართული კულტურის შესასწავლად შექმნას საკმაო ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში საქართველოს პროპაგანდას, რაც საწინდარია საქართველოს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს ი დ ე ი ს სიცოცხლის და მისი გამარჯვების. თქვენი დღევანდელი გამოხმაურება და ამ კრებაზე დასწრება ჩვენი მოქმედების საერთო გეგმას ხელს უწყობს და ეხმარება. ამიტომ ულრმეს მადლობას მოგახსენებთ.

**გ. ზალდასტანიშვილი**

(ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე).

(სიტყვა წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე სადღესასწაულო კრებაზე).

ინგლისურიდან თარგმნა ბ-ნ **ა. ჯინჭარაძემ**

---

საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე მიღებულ მილოცვის დეპეშებიდან ვაქვეყნებთ მხოლოდ სამს.

პირველი ეკუთვნის ნიუ იორკის შტატის გუბერნატორ ნელსონ როკფელერს, მეორე — ნიუ იორკის ქალაქის თავს — ჯონ ლინდზის, რომელიც მისმა უახლოესმა თანამშრომელმა ჩვენმა თანამემაულე კ. სიდამონ-ერისთავმა წაიკითხა და მესამე — საფრანგეთში არსებულ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე — ბ-ნ ლ. ზურაბიშვილს.

„ქართული აზრის“ რედაქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს სწორედ ბ-ნ ლ. ზურაბიშვილის საქციელს. მან დიდი ხანია აიღო ინიციატივა სხვა და სხვა ქვეყნებში არსებულ სათვისტომოებს შეთანხმებული მუშაობა ეწარმოებინათ. ამას თავის დროზე მიესალმა ჩვენი გაზეთი და აღუთქვა თანამშრომლობა. სამწუხაროდ, ბ-ნ ლ. ზურაბიშვილის ინიციატივა დარჩა „ხმად უდაბნოსა შინა“. არამც თუ პოლიტიკური ორგანიზაციები, არამედ თვით აპოლიტიკური სათვისტომოებიც კი ჩაიკეტნენ თავ-თავის „ნაჭუჭებში და ამ კეთილ და მეტად სასურველ ინიციატივას არავინ გამოეხმაურა და ხელისშემწყობი არავინ გაუჩნდა. ოჯახში შემოჭრილ მტერს ცდილობენ დაქსაქსულად და ცალ-ცალკე გაუმკლავდნენ . . .

მაგონდება აწ განსვენებული სპ. კედიას, თითქმის ნახევარი საუკუნის წინად გაკეთებული განცხადება: „ცხოვრებამ მოსპო და წალეკა პარტიების ლობეები და დროა ამ ნალობრებს გაბედულად გადავაბიჯოთ“, რის გამოც (და თუ მეხსიერება არა მღალატობს, თვით ამ სტრიქონების ავტორიც) მას აუჯანყდნენ და საკუთარი პოლიტიკური მეგობრებიც მას „დაეტაკნენ“.

როდესაც თავისუფალ ქვეყნებში გაბნეულ ქართველებში შეთანხმებულ მუშაობაზეა ლაპარაკი, ალბად, არც ბ-ნ ლ. ზურაბიშვილს და არც ჩვენ, მხედველობაში არა გვაქვს, რომ ყველამ თავ-თავის რწმენაზე ხელი აიღოს და „ჩემი სხვამ, ან სხვისა მე“ ვაღიაროთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პრაქტიკული საქმიანობა, რომ მსოფლიოში გაბნეული ქართველების ცალ-ცალკე არსებული ორგანიზაციების მეთაურები წინასწარი შეთანხმებით, დაგეგმილად მოქმედობდნენ იქ, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობენ.

ამის გამო ჩვენ ხელახლა გამოვთქვავთ ჩვენს აღფრთოვანებას ბ-ნ ლ. ზურაბიშვილის დაუღალავი და გულგაუტეხელი ცდის გამო და „ქართული აზრის“ რედაქცია ხელახლად იმეორებს თავის აღთქმას, რომ ჩვენ, მთელი ჩვენი შესაძლებლობით ამგვარად გაერთიანებულ ორგანიზაციის რიგებში ჩავდგებით და მას ვემსახურებით.

**მ. სინდიკელი**

„ქართული აზრის“ რედაქტორი

---

**ძვირფასო ბატონო ზალდასტანო**

გულითადი მილოცვა ყველას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს.

მეტად სასიამოვნოა, რომ ქართული შთამომავლობის ამერიკელები დღესასწაულობენ თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. ვსარგებლობ ამ შემთხვევით გამოგიცხადოთ ჩვენი თანაგრძნობა და ღრმა რწმენა, რომ ყოველი ქართველი ერთ დღეს იქნება თავისუფალი.

მრავალ კეთილი სურვილებით

**ნელსონ ა. როკფელერი**

ნიუ იორკის შტატის გუბერნატორი

ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე
საფრანგეთში

**ძვირფასო ბატონო ზალდასტანო:**

დიდი სიამოვნებით გილოცავთ თქვენ და ქართული სათვისტომოს ყოველ წავრს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

ქართული სათვისტომო მეტად საპატიო ორგანიზაციაა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დაეხმაროს ქართული შთამომავლობის ხალხს შეერთებულ შტატებში.

აგრეთვე ქართული სათვისტომო ხელს უწყობს განავითაროს ნიუ იორკის ქალაქის ნაირნაირობა და ამით გაამდიდროს იგი. ჩვენ ქალაქს სჭირდება ყოველი მისი მოქალაქის და საზოგადოების გულმოდგინე დახმარება. ამიტომ დიდათ ვაფასებ თქვენი საზოგადოების მონაწილეობას. ქალაქი მხარს უჭერს თქვენ საქველმოქმედო და აღმზრდელ საქმიანობას და გისურვებთ წარმატებას.

მრავალ კეთილი სურვილებით

**ჯონ ვ. ლინდზი, ქალაქის თავი.**

**ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარეს!**

ღრმა რწმენა და მტკიცე იმედი ნიშნავს საქართველოს განთავისუფლების დაჩქარებას. გისურვებთ წარმატებას და გამარჯვებას.

**ლ. ზურაბიშვილი**

---

## ქართველთა დიდ მეფეს ერეკლეს . . .

ქართველთა ერის დიდო მეფეო!!!
ასპინძას ვიყავ წუხელ წასული . . .
ორას ერთ წელზე რომ დამენახა
შენი გმირობა . . . ერის წარსული . . .

***

ვნახე რა ვნახე . . . სანახაობა . . .
იქ ტრიალებდა ხმალი და ფარი . . .
შენი გონება, შენი მკლავები,
კოხტა ბელადის მოჭრილი თავი . . .

***

დროზე გაუგე მზაკვარ ტოტლებენს
მხდლობა, ღალატი გაიძვერობა
მასაც და მტერსაც თვალთ დაანახე . . .
შენი და შენი ქართველთ გმირობა . . .

***

დღესაც აწყურთან ძვლების მთები დგას,
სისხლის ღვარი სდის ასპინძის ველებს . . .
მტრის ოცდახუთი დროშა გეჭირათ . . .
შენ და შენს უკვდავ გმირულ ქართველებს . . .

***

ახლაც გვიჭირავს შენს შვილებს შენი,
დაუჟანგავი ფარი და ხმალი,
რომ შენს წინაშე ჩვენც მოვიდახოთ
საშვილიშვილო ქართული ვალი . . .

***

არც ჩვენ დავინდობთ არასდროს მეფევ!
მტერს, რომელიც შენ არ დაგინდვია
ეგი ქართული სიტყვა და ფიცი
შენსა საფლავზე ჩვენ დაგვიდვია . . .

მიუნხენი. აპრილი 1970 წ.

**ანზორ რეული**

---

## ასპინძის ომი

ყოველი ერის ცხოვრებაში არსებობენ ისეთი ისტორიული ფაქტები და თარიღები, რომელნიც ეროვნულ საზღვრებს სცილდებიან და მსოფლიო მნიშვნელობას ღებულობენ.

ერთ ასეთ დიდ ისტორიული ღირებულების მატარებელია, როგოც ერეკლე 2-ს, ისე საქართველოს ისტორიაში, 1770 წლის 20 აპრილს გადახდილი ასპინძის ომი.

ზემოდ აღნიშნული ომის ღირებულება არ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ქართველები იძულებულნი იყვნენ ებრძოლად ისეთი მტრის წინაამდეგ, რომლის რიცხვი 15-ჯერ აღემატებოდა მათ მხედრობას.

ასეთი უთანასწორო ბრძოლა ჩვენი წინაპრებისათვის არც პირველი იყო და არც უკანასკნელი; პირ იქიდ, მაშინდელი ქართველები უკვე დიდი ხნის მიჩვეულები იყვნენ მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლას და გამარჯვებას, რასაც ძალიან ნათლად ამტკიცებს თვით ერეკლე მეფის სიტყვა ბრძოლის წინ წარმოთქმული მის მებრძოლთა გასამხნევებლად: „ჩემო ძმანო და გულის მეგობარნო, ამისთანა გაჭირვებული ბრძოლა ჩვენს თავზე პირველი არ არისო“

რა თქმა უნდა ერთი 15-ტის დამმარცხებელი გამონაკლისი გმირის სახელს იმსახურებს. მიუხედავად ამისა, ასპინძის ომის ღირს მნიშვნელოვანი შეფასება, იმ არა ჩვეულებრივ **იურიდიულს**ა და **მორალურ** პირობებში უნდა ვეძიოთ, რომელშიც მას ჰქონდა ადგილი.

**მორალურად,** როგორც მეფე, ისე მისი სამეფო დიდათ გამხნევებული იყო, ვინაიდან აღუსრულდათ დიდი ხნის ნატვრა და სურვილი: დღეს მათ გვერდში უდგა და ზურგს უმაგრებდა „ერთ მორწმუნე დიდი რუსეთის წარმომადგენელი გენერალი ტოტლებენი — 3767 კადგად შეიარაღებული მხედრით.

თანახმად მეფისა და იმპერატრიცას პირობისა და ხელშეკრულებისა; **იურიდიულად** „ტოტლებენს ევალებოდა, ყოველგვარი დახმარება გაეწია საქართველოს მეფისათვის გარეშე მტერთა შემოსევის დროს თავ-დაცვის ნიადაგზე“. აი ასეთ მეტად ხალსაყრელ პირობებში, ქვიშხეთსა და აწყურის მიდამოებში დაბანაკებული გენერალ ტოტლაბენითურთ, მეფე ერეკლე აღტაცებით ელოდა იმ დღეს, როდესაც მათზე ამხედრებულ ურჯულოთა კოალიციას — შემდგარს ოსმალთა, ლეკთა და ახალციხის ფაშისაგან, პირის-პირ შეტაკება მოუხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ურჯულოთა რიცხვი 45.000 აღემატებოდა და ქრისტიანებისა კი 6.767 მეომარს ითვლიდა, ქართველები ამ განსხვავებაზე არც ფიქრობდნენ, პირ იქიდ, სრულიად ნორმალურად ეჩვენებოდათ იგი.

მათთვის უჩვეულო და არა ნორმალური მხოლო ის იყო, რომ, როდესაც ერეკლე მეფე სამხედრო სამზადისში იყო, მტერზე შეტევის გეგმებს ადგენდა და გენერალ ტოტლებნსაც ბრძოლისთვის მომზადებას ურჩევდა, ის ყურსაც არ იბერტყდა. აქ იწყება ტოტლებენის **ამორალობა.** მომზადების მაგიერ, ერეკლეს ყოველნაირად ხელს უშლიდა, არც ერთ მის სამხედრო გეგმას არ ეთანხმებოდა, საქმეს აჭიანურებდა. თავდასხმის დროსა და ადგილის შერჩევაში მეფეს ეწინააღმდეგებოდა, რის გამოც ტოტლებენი, **იურიდიულად სრულ უკანონობას იჩენდა,** რაც სრულიად მალე გამოირკვა, რომ რუსის გენერალი შემთხვევით კი არ ეწინააღმდეგებოდა მეფე ერეკლეს, არამედ წინასწარ კარგად მოფიქრებული და ჩაფიქრებული მოსაზრებით.

მისი უაზრო აზრით ბრძოლის დროის გაგრძელება, ქართველთა შორის დაშლილობას და დემორალიზაციას გამოიწვევდა, რის გამოც ლაშქარში დეზერტირობა დაიწყებოდა და ისედაც მცირე რიცხოვანი ქართული მხედრობა უფრო შემცირდებოდა. ა მ ა ვ ე დროს იგი მტერს საშუალებას აძლევდა დრო მოეგო, უკედ მომზადებულიყო, რათა ქართველებს, მისთვის ხელსაყრელ პირობებში დასხმოდა თავს.

რაკი მას წინსწარ გადაწყვეტილი ჰქონდა, ბრძოლის წინ გაპარვა და მეფე ერეკლეს მარტო მიტოვება, მისი ანგარიშით, მარტო დარჩენილი მცირე რიცხოვანი ქართული მხედრობა მტერს ვერ გაუმკლავდებოდა და სასტიკად დამარცხდებოდა.

დამარცხებული მეფე კი მის წინაშე მუხლს მოიდრეკდა, მისი სრული ხელ-ქვეითი, ვასალი და მისი ბრძანების აღმსრულებელი შეიქმნებოდა, რუსეთს ერთ პროვინციას შემატებდა იმპერატრიცას ერთგული მოხელე, საიდუმლო დავალების კარგი შემსრულებელი, მისი პატრონის გულს მოიგებდა და დიდ წარმატებასაც მიიღებდა.

ქართული ლაშქრის მეთაური იმ დროს, რომ „მამა“ ერეკლე არ ყოფილიყო, შესაძლებელია ტოტლებენის ვერაგულ მოქმედებას მართლაც ნაყოფი გამოეღო.

საბედნიეროდ, როგორც გრაფი, ისე იმპე-

# გმირული ეპოპეა

(ასპინძის ომის 200 წლის თავის გამო)

მამული ველარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს.

**გრიგოლ ორბელიანი**

შესრულდა ასპინძის ომის ორასი წლის თავი ამ ომში მეფე ერეკლე მეორემ 1770 წლის აპრილის 20-ს სასტიკად დაამარცხა თურქებისა და ლეკების დიდი სამხედრო ძალა. ამ ომის ისტორია მოკლედ შემდეგია: 1769 წელს რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინე მეორემ ომი გამოუცხადა ოსმალეთს. მან მონაწილეობისათვის მიმართა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეს.

ქართველთა მეფე სიამოვნებით დათანხმდა ამაზე, რადგან ამ ომში მას თავისი ინტერესები ამოქმედებდა. საკითხი ამ შემთხვევაში ეხებოდა ჯავახეთსა და მესხეთს. ეს ორი მხარე ჩვენი ქვეყნისა ოდიდანვე დასახლებულია ქართველებით და საქართველოს სამეფოს კუთვნილებას შეადგენდა.

მაგრამ 17 საუკუნეში ოსმალეთის აგრესიის შედეგად, ეს კუთხე საქართველომ დაჰკარგა.

მეფე ერეკლე მეორეს მიზანს წარმოადგენდა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ამ ისტორიული კუთხის ოსმალეთისაგან უკან დაბრუნება. ამისათვის თითქოს სათანადო მომენტი დადგა.

„მეფე ერეკლე ჩაება რუსეთ-ოსმალეთის ომში ფართო პოლიტიკური მიზნებით: მას უნდოდა ოსმალეთისაგან დაებრუნებინა სამუსულმანო საქართველო, ანუ ისტორიული მესხეთი და ტაო-კლარჯეთი; და აგრეთვე ძველის ძველი სომხური პროვინციები . . . მესხეთთან და ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული იყო საქართველოს ისტორიის სახელოვანი ტრადიციები. აქედან მეათე საუკუნიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება, რომელიც დანაწილებული იქნა არაბების შემოსევის შედეგად. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეები, მწერლები და მთარგმნელები.

18 საუკუნეში დავით კურაპალატის, გრიგოლ ხანძთელის, შოთა რუსთაველისა და სარგის თმოგველის სამშობლო დაადგა ეროვნულ გადაგვარების გზას და გადაიქცა ბანდიტების თავშესაფარ ადგილად, რომლებიც ახალციხის ბაზარზე ჰყიდდნენ ქართველ ტყვეებს“ (გ. ქიქოძე, ირაკლი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 87. რუსულ ენაზე).

ამგვარად, რუსეთის იმპერიისა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და მეფე ერეკლე მეორე შეუდგა მზადებას ომში მონაწილეობის მისაღებად.

ხოლო, იმერეთის სამეფო უკვე წინასწარ ჩაბმული იყო ოსმალეთთან ომში. როგორც ვიცით, მაშინ საერთაშორისო ვითარების შედეგად, იმერეთი ჩვენდა საუბედუროდ ცალკე სამეფოს წარმოადგენდა. მაგრამ „1758 წელს სოლომონ პირველი და ერეკლე მეორეს შორის დადებული იყო თავდაცვითი სამხედრო კავშირი, მაგრამ თურქეთის იმპერიის მიმართ ფრთხილი პოლიტიკის დაცვით ერეკლეს ვერ გადაეწყვიტა იმერეთის დასახმარებლად დაეძრა ქართლ-კახეთის ლაშქარი“ (იხ. იქვე).

სოლომონ მეფისა და ერეკლეს მისაშველებლად რუსეთიდან დაიძრა ოთხათასიანი არმია გენერალ ტოტლებენის სარდლობით.

„1769 წლის ზაფხულის გასულს რუსთა ჯარი, გენერალ ტოტლებენის სარდლობით საქართველოში შემოვიდა. ტოტლებენი საქართველოს ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევას საჭიროდ არ სთვლიდა და ერეკლე-სოლომონის მხრივ მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. ტოტლებენმა წყალობის თვალით შეხედა სოლომონ მეფის მეტოქეებს — დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ხელის შემშლელებს, დადიანსა და გურიელს. ერეკლეს წინაალმდეგ კი გენერალმა დაიახლოვა ქართლის რეაქციონერი თავადები — დავით ქსნის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბელი, ამირეჯიბი და ზოგი სხვა. (მ. ბერძენიშვილი და სხვები. საქართველოს ისტორია, 1, ტფილისი, 1958, გვ. 358).

ერეკლე თავისი შვიდი ათასი მხედრით გაემართა სურამისაკენ, სადაც უნდა მომხდარიყო შეხვედრა მოკავშირე რუსის ჯართან. 1770 წელს აპრილის დამდეგს ქართულ-რუსული შეერთებული ლაშქარი გაემართა ბორჯომის ხეობისაკენ. შეერთებულმა ლაშქარმა გაიარა ტაშის კარი, შევიდა ბორჯომის ხეობაში და მიადგა აწყურის ციხეს, რომელსაც იცავდა ოსმალთა და ლეკთა შეერთებული ძლიერი შენაერთი.

აწყური იმ დროს ძლიერ გამაგრებულ საშუალო საუკუნის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. იგი აგებული იყო მტკვრის ხეობაში, ბორჯომსა და ახალციხეს შორის. აწყური იყო საყრდენი პუნქტი სამხრეთ საქართველოში. აწყურის აღებით ქართულ-რუსულ ლაშქარს გზა ეხსნებოდა ახალციხისაკენ.

წმინდა სტრატეგიულ ნიადაგზე ცილობა ატყდა გენერალ ტოტლებენსა და მეფე ერეკლეს შორის. ადგილობრივ პირობების უცოდინარი გენერალი ჯიუტად იდგა თავის სტრატეგიულ მოსაზრებაზე. ერეკლეს სულ სხვა სტრატეგიული გეგმა ჰქონდა, რაც სავსებით ეგუებოდა ომის წარმოების არსებულ პირობებს და გამარჯვების საწინდარს წარმოადგენდა.

მოქნილი დიპლომატი, ერეკლე გამოვიდა რა შექმნილი ვითარებისაგან ბევრი რამ დაუთმო პატივმოყვარე გენერალ ტოტლებენს. აი რას ვკითხულობთ ამის გარშემო ისტორიის სახელმძღვანელოში: „1770 წელს რუს-ქართველთა შეერთებული ჯარი ახალციხის საფაშოზე სალაშქროდ გაემართა და აპრილის შუა რიცხვებში შემოადგა შუა გზაზე მდებარე აწყურის ციხეს. მაგდამ ის იყო ომი გაჩაღდა, რომ ტოტლებენი თავისი ჯარით უეცრად უკან გამობრუნდა. ტოტლებენის საქციელმა ქართველთა ჯარში აღშფოთება და არევ-დარევა გამოიწვია. ქართველებს უკუქცევის გარდა აღარა დარჩენოდა რა და ერეკლემაც თბილისში დასაბრუნებლად ჯავახეთ-თრიალეთზე მიმავალი გზა აირჩია. უკუქცეულ ქართველებს მტერი ფეხდაფეხ აედევნა. მეორე დღეს, ასპინძასთან მისულ ქართველთა ლაშქარს ახალქალაქიდან წამოსული 1.500 ოსმალო შემოეყარა. ასე დაიწყო ასპინძის ომი. (იხ. იქვე, გვ. 358).

ორი დღე გაგრძელდა იერიში, მაგრამ ციხე-სიმაგრეს ვერაფერი ვერ დააკლეს. ტოტლებენის სტრატეგიამ ცხვირ-პირი მოიმტვრია, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმ ვერაგობასთან, რაც ავანტიურისტმა გენერალმა ჩაიდინა სწორედ გაცხარებული ბრძოლის დროს. ტოტლებენმა ომის მესამე დღეს მოულოდნელად და ჩუმად ციხეს თავი გაანება და თავისი ჯარი ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ამით გაოგნებული მეფე ერეკლე დაედევნა გენერალ ტოტლებენს, მაგრამ არც თხოვნამ, არც მუდარამ არ გასჭრა. იგი შიდაქართლისაკენ გაეშურა და თუ იქ რა სისაძაგლე და ღალატი ჩაიდინა ამაზე ეხლა არ არ გვექნება ლაპარაკი. რუსის ჯარის მიერ ბრძოლის ველის დატოვებამ რათქმა უნდა ცუდად იმოქმედა ქართველ მებრძოლებზე. ამით ისარგებლეს ოსმალო-ლეკებმა, გამოვიდნენ ციხე-სიმაგრიდან და თავს დაესხნენ ქართულ ჯარს. ერეკლე არ შეუშინდა თურქთა ძლიერსა და მრავალრიცხოვან ლაშქარს. მან კარგად იცოდა, რომ ბრძოლაში გამარჯვების საწინდარია სამართლიანობა და მამულის სიყვარული და ერეკლეც ასე მიმართავს თავის ლაშქარს: „**ჩვენ ან უნდა გავიმარჯვოთ მტერზე, ან მთლიანად დავიხოცნეთ, ისე კი დაბრუნება სამშობლოში ჩვენთვის თავზე ლაფის დასხმა იქნება. რა უნდა უთხრათ ჩვენს დედებს, ჩვენს ცოლებს ჩვენს დებსა და მთელ ქართველობას, როცა ხელცარიელი დავბრუნდებით, განა ამისთანა ლაჩრობა ქართველებს შეფერის? არა, ძმებო, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც წინეთ მოვქცეულვართ, როგორც შეჰფერის ქართველთა მამაცობას და ვაჟკაცობას. წინ და არა უკან**“ (იხ. იაკობ გოგებაშვილი, ასპინძის ომი, ტფილისი, 1895 გვ. 12).

აი რას ამბობს იაკობ გოგებაშვილი გენერალ ტოტლებენის აწყურიდან მოულოდნელი წასვლის გამო: „ერეკლემ აჰყარა ალყა აწყურს, დასძრა თავისი ჯარი და გაუძღვა როკეტის გზაედ. შეიტყო თუ არა ალყის აყრა აწყურის ციხეში მყოფმა მტრის ჯარმა, იგი უმეტეს ნაწილად გამოვიდა სიმაგრიდან, უფრო მოკლე გზა აირჩია, გაუსწრო წინ ჩვენ ჯარსა, წინ უყელა, შეუერთდა თავიანთ ჯარს, ასპინძის ახლო მყოფსა, შეადგინა ორი ლაშქარი და უცებ თავს დაესხა ქართველ წინა ჯარსა, იდუმალას მახლობლად . . . საშინელი დამარცება ვერ ასცდებოდა ქართველთა ჯარსა, თუ რომ მეფის სამაგალითო გულადობას არ ეხსნა იგი დიდის განსაცდელისაგან. ერეკლე პირადად გაექანა „რაოდენიმე ჩინებულითა და შინაყმითა თვისითა და შვიდითა ხევსურითა, გასწირა თავი თვისი და ექვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე“ გამოქცეული ჩვენი ჯარი, როცა მან თავისი უსაყვარლესი მეფე განსაცდელში დაინახა, გონზე მოვიდა, ისევ აივსო მამაცური გამბედაობით, მიუბრუნდა მტერსა, დაესხა თავსა და საშინლად დაამარცხა. მტრის ორი ათასის კაციდან ათასმა ძლივს უშველა თავსა გაქცევითა. ნახევარი ჯარი ოსმალ-ლეკებისა ბრძოლის ველზე დარჩა დახოცილი და დაჭრილი“.

ამ შემთხვევაში მეფე ერეკლე თავისი ვაჟკაცობით და მჭერმეტყველობით იულიუს კეისარს თუ შეედრება. მოვიყვანოთ ისევ იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „**ამ შემთხვევაში ერეკლე უნებლიედ მოგვაგონებს იულიუს კეისარსა, პირველს სარდალს ძველი დროისას.** როცა ისპანიაში პომპეუსის შვილების ჯარმა ზურგი აქნევინა კეისარის ჯარსა და გამოაქცია, ეს სწრაფად მოაჯდა თავის ცხენსა, მჭექარე ხმით შესძახა: „**განა ამ ბალღებს უნდა დამამარცხებინოთო“! და იერიში თვითონ მიიტანა მტერზედ. გაქცეულმა ჯარმა რომ თავისი უძვირფასესი წინამძღოლი დაინახა საშინელ ხიფათში, მოუბრუნდა, მამაცურად შეება მტერსა და საშინლად დაამარცხა**“.

მაგრამ ეს ერთი ეპიზოდი იყო დიდი ომის დასაწყისისა, რაც ერეკლემ დიდის გამჭრიახობით ჩაატარა. ერეკლე საოცარი სარდალი იყო. სახელგანთქმული. საკმარისია მოვიგონოთ პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის უკვდავი სიტყვები, რომელიც მან ერეკლე მეორეზე სთქვა: „ევროპაში მე ვარ, აზიაში კი ერეკლეო“.

ხოლო ჯერ კიდევ ასპინძის ომის წინ, სახელგანთქმულმა გერმანელმა დრამატურგმა ლესინგმა თავის დრამა „მინნა ფონ ბარნჰელმ“-ში ასახა ერეკლე, როგორც მამაცი მხედართმთავარი, რომელმაც ყბა ჩაალეწა სპარსეთს და დღეს თუ ხვალ შეიჭრება თურქეთის იმპერიაშიო“.

პრუსიელი ჯარისკაცები, რომლებიც უსაქმურად არიან და ენატრებათ ლაშქრობა, აი რას ამბობენ ურთიერთშორის:

ვერნერი: — იუსტ! ხომ არ გაგიგონია რამე უფლისწულ ერეკლეზე?

იუსტი: — ერეკლე? არაფერი ვიცი ამაზე.

ვერნერი: — არ იცნობ შენ აღმოსავლეთის დიდ გმირ ადამიანებს?

იუსტი: — როგორ არა . . . აღმოსავლეთის მოგვებს ვიცნობ კი, რომლებიც ყოველ ახალ წელიწადს ვარსკვლავებით მიმოდიან.

ვერნერი: — შე კაი კაცო, რზგზრც გატყობ, შენ გაზეთებს ისე ცოტას კითხულობ, როგორც ქიქლიას, რაო, შენ არ იცნობ უფლისწულ ერეკლეს? ამ მამაც კაცს, რომელმაც სპარსეთს ყბა ჭაალეწა და დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტას ჰაერში ბურთივით აისვრის?

მადლობა ღმერთს, რომ ამ ქვეყნად კიდევ არის სადმე ომი! დიდი ხანია მე მას ველოდები, იქნებ ახდეს როგორმეფ არა ძმაო, მხედარი ვარ მე და მხედრად უნდა დავრჩე. მე წავალ სპარსეთს და დავდგები მისი მეფური აღმატებულების, უფლისწულ ერეკლეს ყროშის ქვეშ . . . მასთან ერთად რამდენჯერმე მაინც ვილაშქრებ თურქეთში!“

დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს თემას. ერეკლემ კარგად იცოდა, რომ ის თუ უკან წამოვიდოდა სურამის მიმართულებით, მტერს შეეძლო მისთვის ვიწრო ხეობებში დიდი ზარალი მიეყენებინა. ამიტომ ერეკლე იძულებული იყო ბრძოლით წაწეულიყო წინ ახალციხის მიმართულებით. შემდეგ იგი წავიდა ტფილისისაკენ ასპინძის და წალკის გზით. ამ მანევრმა, როგორც სჩანს დააშინა მტრის სარდლობა. თურქულ-ლეკური ჯარები რუსის ჯარს კი არ გამოედევნა, რომელიც თავისი არტილერიით მძიმედ მიიწევდა ბორჯომის ხეობაში და შესაძლებელი იყო მახეში გაბმულიყო, არამედ გამოედევნა ქართულ ლაშქარს, რომელიც იყო მსუბუქად შეიარაღებული და სწრაფი სიჩქარით მიდიოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. თურქულ-ლეკური ჯარების სარდლობამ გადაწყვიტა გზა გადაეჭრა ერეკლესათვის ასპინძასთან. ამ მიზნით მტარმა ახალციხისა და ხერთვისის ციხე-სიმაგრეებიდან გამოიყვანა 1.500 კაცი და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ჩაასაფრა. მაგრემ ერეკლემ როდი მისცა მტერს დრო თავისი ძალების შეერთებისა, გადავიდა რა მოულოდნელად იერიშზე მტრის წინააღმდეგ. მტერი დაამარცხა. ეს პირველი შეტაკება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ქართველები რომ გამოუდგნენ გაქცეულ მტერს. მტრის მთავარმა ძალამ დაიწყო გადასვლა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ერეკლემ წინასწარ განზრახვით უკან დაიხია, მტერს მისცა საშუალება გადასულიყო ხის ხიდზე. მაგრამ მტრის ჯარმა ვერ შესძლო მთლიანად გადასვლა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და მისი ჯარის საგრძნობი ნაწილი დარჩა მდინარის მარცხენა ნაპირზე. ერეკლემ ისარგებლა რა მტრის შეცდომით, ღამით ასპინძის ხიდთან გაგზავნა რჩეული რაზმი, რომელიც მოულოდნელად თავს დაესხა საგუშაგოებს, რომლებიც იცავდნენ ხიდს. გაანადგურა ეს საგუშაგოები, დაშალა ხიდის კოჭები და გადააგდო მტკვარში. დამარცხებულმა მტრის ჯარმა მიირბინა ხიდთან, დაინახა რა რომ ხიდის კოჭები დაშლილია, შიშმა მოიცვა, დაფრთხნენ და ჩაცვივდნენ ადიდებულ მდინარე მტკვარში“.

შემდეგ მეფე ერეკლემ თავისი ლაშქარი გაჰყო სამ ნაწილად. ერთ ნაწილს თვითონ ჩაუდგა სათავეში, მეორე ნაწილს ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი უსარდლა, ხოლო მესამე ნაწილის უფროსი იყო სახელოვანი სარდალი დავით ორბელიანი.

უნდა ითქვას, რომ ორივე მხარე სათანადოთ ემზადებოდა ომისათვის. გათენებისას მტერმა აქტივობა დაიწყო და წინ წამოიწია. მტერმა სროლა ასტეხა, მაგრამ ქართულ ქვედანყოფებს ვერას აკლებდა. მეფე ერეკლემ მოხერხებულად განალაგა თავის სამხედრო ნაწილები. მეფემ მტერი ძელიან ახლოს მოუშვა. მტერს ეგონა ქართველები დაფრთხნენო და უფრო გათამამდნენ. წინა რიგი თამამად წამოვიდა იერიშზე, მიუახლობდა ქართველი ჯარის პოზიციას თუ არა, ქართველებმა ცეცხლი გაუხსნეს მტერს. ტყვიამ გათავხედებული მტრის წინა რიგები მოცელა. მაშინ მტრის მეორე რიგი მედგრად წამოვიდა იერიშზე, მაგრამ საშინლად დაზარალდა.

(დასასრული იქნება)

**მინდია ლაშაური**

# ასპინძის ომი

(დასაწყისი იხ. 2-რე გვ.)

რატრიცა, ერთნაირად შესცხნენ ერეკლე 2-სა და ქართველების შეფასებაში.

ერთის მხრივ ტოტლებენის ნაადრევი ღალატი სასარგებლოც გამოდგა ქართველებისათვის: უბედური გენერალი, რომ მეფე ერეკლეს ხელჩართული ბრძოლის დროს გამოეცალა, დარწმუნებული იქნებოდა, რომ ქართველები უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ. ესეც ტოტლებენის უნიჭობას უნდა დაუმადლოთ — **გლახა მეგობრის ყოლასა სულ მარტოობა სჯობია.** ნახა რა პატარა კახმა რუსი გენერლის ღალატი, უიმედობის მაგიერ უფრო გათამამდა, ჩაბერა რაინდული სული თავის გულის ძმებს და ერთგულ მამულიშვილებს გაუათკეცა სამშობლოსათვის თავ დადებული ბრძოლის სურვილი და ლომებივით გააფრთებულნი **სიკვდილი ან გამარჯვების ყიჟინით** ფიცხლავ ეკვეთნენ მოზღვავებულ მტერს. ცხარე ბრძოლის დროს ერეკლე მეფემ თავის ხელით ხანგმირა, კოხტა, ლეკთა ცნობილი ბელადი და განთქმული მეომარი. ცხენიც ზედ დააკლა, რადგან ცხოველმა გაქცევა მოინდომა, რაც მეფემ ღალატად მიიჩნია: **კარგმა ცხენმა პატრონი არ უნდა დასტოვოსო.** ამ აქტიდ ერეკლემ მორალურად მოკლა მოღალატე გენერალი ტოტლებენიც, რომელიც ლაჩრულად უკან გაქცეული შუა და ქვემო ქართლის სოფლებსა და ქალაქებს, გაუმაძღარი ანგარებით აოხრებდა და სცარცვავდა: ამასთან ხმას ავრცელებდა თითქოს მეფე ერეკლე სასტიკად დამარცხდა და უცოდველ ხალხს იმპერატრიცას ერთგულებაზე აფიცებდა. მაგრამ მისი ბოროტებისგან დაბრმავექული თვალები ვერა ხედავდნენ ქართული საზღაპრო გამარჯვების პირველ მოციქულებს: თავიან თუ თავწაჭრილ ურჯულოთა გვამებს, მტკვრის ტალღები მეტეხის სასახლის წინ ამაყად რომ მოაქანებდნენ.

რაც ქართველებს მათი საყვარელი მეფის სახელოვან გამარჯვებასთან ერთად, ასპინძის ომის გმირთა უკვდავებას აუწყებდნენ.

ბრძოლის ველზე ქართველების მიერ ტყვედ ქმნილი, კოხტა ბელადის შვილი, მეფემ იმპერატრიცას პეტერბურგში ძღვნად გაუგზავნა და თან აუწყებდა იმ სამარცხვინო ღალატსა და საქციელს, რაც მისმა გენერალმა საქართველოს მიმართ ჩაიდინა.

ადვილად წარმოსადგენია, თუ ამ აქტიდ პატარა საქართველოს დიდი მეფე, რა უხარხულა და გამოუვალ მდგომარეობაში აღგებდა დიდი რუსეთის პატარა იმპერატრიცას.

**მაგრამ ვინ წაართმევს ადამიანს, რაც მას აქვს.** ეკატერინე მეორისათვის მორალი და სამართალი უცნობი და არ არსებული ცნება იყო. რომ თვით იმპერატრიცას ტოტლებენის ღალატში ორივ ხელები ჰქონდა გასვრილი, ეს მისივე პასუხით ზედმიწევნით ირკვევა და მტკიცდება.

„ტოტლებენს არ შეეძლო ომში მონაწილეობა მიეღო, ვინაიდან მის მხედრობას საკმაო სურსათ-სანოვაგე არა ჰქონდაო, და მშიერ ჯარის კაცს კი ბრძოლა არ შეუძლიანო“.

„კარგი რამ სჭირდეს გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია“.

სწორედ რუსულ სამართლიანობაზეა ნათქვამი.

**ლ. ტიტვინიძე**

# ძვირფასო თანამემამულევ!

თქვენი წერილი მივიღე. მთხოვთ ჩემი აზრი მოგახსენოთ ასპინძის ომის შესახებ. ჩემდა სამარცხვინოდ, არავითარი წყაროები არ მომეპოვება, ამ ომის გარშემო.

სკოლის სკამზე მისწავლია, რომ ერეკლე მეფის მიერ იყო ჩატარებული ასპინძის კრწანისის და სხვა ბრწყინვალე ომები. თუ საგნის გადახვევათ არ ჩამითვლით მოგახსენებთ მცირე რამეს ერეკლე მეფის დამსახურების გარშემო ჩვენს ისტორიაში.

ქართველი ხალხის ბედი ახირებულია. ჩვენი ერის მდებარეობა ხდიდა მას ყველა იმპერიების გზად და ხიდათ. ამდენ დაწოლას, განადგურების ცდას, რა სასწაულით გაუძელით

(გაგრძელება იხ. მეოთხე გვ.)

## ვანო ბაქრაძე

სამხედრო სკოლა ... კოჯორი და ტაბახმელა ... ამ სამი სიტყვის კომბინაციიდან შეიქმნა ერთი ეპოქა ... ყოველი ქართველისათვის თვალწარმტაცი და ლამაზი ეპოქა ...

ტაბახმელაზე სამხედრო სკოლის ბრძოლამ ნათელჰყო მამაპაპათა სულის უკვდავება, რომ თანამედროვე ქართველის ძარღვებშიც ჩვენი წინაპრების სისხლი სდუღს და როცა საქართველოს მტერი არ დაინდობს გმირული სიკვდილი კვლავ შეგვიძლიან.

როცა მოვიზარდე და ეს ამბავი შევიტყე, ჩემთვის ყოველი იუნკერი გმირად იყო წარმოსახული. ახოვანი, შეუდრეკელი, მტრის რისხვა და მოყვარეს მაამებელი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბედნიერება მქონდა ვყოფილიყავი იმ ათასეულში, რომელსაც, სწორედ ჩემთვის ოცნებად ქცეული ყოფილი იუნკერი მეთაურობდა. როცა ათასეულში გავემგზავრე, ჩემი ფიქრები კვლავ ტაბახმელას დასტრიალებდნენ; როგორი იქნება შეხვედრა ჩემი ოცნების გმირთან? ათასეულში გამოვცხადდი და წარმადგინეს მის მეთაურთან. თვალი ვერ მოვაშორე ამ ახოვან ვაჟკაცს. მისმა დინჯმა და დარბაისლურმა სიტყვა პასუხმა სულ გამაკვირვა. ხანგრძლივად საქართველოს დაშორებულს ნირიც არ შესცვლოდა. ვანო ქართული სიდარბაისლის, სიდინჯის და მამაცობის განსახიერება იყო. მისი რაინდული ბუნება სავსებით დაუფლებოდა თანამედროვე სამხედრო ხელოვნებას და ამიტომ ის ყოველ გერმანელზე მაღლა იდგა ... მას აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. მახსოვს, ერთხელ მან შეადგინა ათასეულის თავდაცვის გეგმა, რომელმაც სამხედრო მეთაურობაში დიდი მოწონება გამოიწვია.

ვანო დღე და ღამ ჯარისკაცებში ტრიალებდა. მას შესწავლილი ჰყავდა ყოველი ჯარისკაცის ბუნება და ხასიათი და იცოდა ვინ რაში გამოდგებოდა. ამისდა მიხედვით აძლევდა ყოველ ჩვენგანს დავალებას. ფაქიზი ბუნების, ადამიანის მოსიყვარულე, ამავე დროს სამსახურებრივად იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი.

ათასეულის სამხედრო წვრთვნის გარდა უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ენის სიწმინდეს და ეროვნული ტრადიციების დაცვას. „ყოველი უცხოელი ისე შეაფასებს საქართველოს, როგორც ჩვენ გავაცნობთ ჩვენს თავსაო“, იტყოდა ხოლმე განსვენებული.

ომის დამთავრების შემდეგ მეტად რთულ პირობებში ჩაგვაყენეს მოკავშირეებმა. ვანო სულგრძელად იტანდა ყოველგვარ „უხერხულობას“ და ჩვენც გვამხნევებდა. მახსოვს ერთი ასეთი შემთხვევის გამო მითხრა: „მოკავშირეებმა არ იციან თუ რა დიდ შეცდომას უშვებენ, ვშიშობ ბოლოს თვითონ გაუხდებათ თავში საცემიო. ჩვენ კი, ქართული სულგრძელობით უნდა ავიტანოთ ყველაფერი. გჯეროდეთ, რომ საქართველოს მზე ამით სამუდამოთ არ ჩასვენებულა. შეიძლება მის ამობრწყინებას მე ვეღარ მოვესწრო, მაგრამ მწამს თქვენ მოესწრებით და რომელ ქვეყანაშიც არ უნდა დასახლდეთ, იქ ამაყად უნდა ატაროთ ქართველის სახელიო“.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა ჩემს მიმართ. მე ის დავიხსომე და გულს ჩავიმარხე.

უბედობამ მოგვტაცა დიდი სამხედრო სპეციალისტი და უზადო ქართველი მამულიშვილი. ის უცხო მიწას მიაბარეს ... ჩვენ კი მისი გაწვრთნილები შორიდან დავტირით და ჩვენს გულში მივეცით მას სამუდამო განსვენების ბინა.

ვ. სანგულია

---

ეს მეტად რთული პრობლემაა და მისი ამოხსნა ჩვენი მეცნიერების ვალია.

ჩვენი ერის ცხოვრებაში 12 საუკუნე მიჩნეულია ოქროს ხანად. ისიც გამიგონია, რომ რომ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე აწარმოებდნენ საქართველოს გაზრდის და გაფართოვების პოლიტიკას. ამრიგად, მათი როლი შედარებით იოლი იყო. აქედან დაწყებული, მთელი საუკუნეები ბნელით არიან მოცულნი. ერეკლე მეფის დროს, საქართველო გარშემორტყმულია მაჰმადიანური ქვეყნებით. მათ თავდასხმას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. გვებრძოდნენ არა მარტო ტერიტორიისათვის, არამედ ქრისტიანული რწმენისათვისაც. ფანატიკური მაჰმადიანებისათვის ჩვენი არსებობა მიუღებელი იყო. სწორედ ამ არეულ ხანაში მოუხდა ერეკლე მეფეს ცხოვრება და მოღვაწეობა. არც ერთი ძლიერი მეზობელი, ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობით დაინტერესებული არ იყო, როგორც ამას სხვა ქვეყნებში ვხედავთ.

ამრიგად, ერეკლე მეფის ხმალზე და მის ჭ კ უ ა ზ ე იყო დამოკიდებული ჩვენი ბედი. აღსანიშნავია, ამ ხანებში ბრძოლას აწარმოებდა, ჩვენდა საუბედუროთ დაყოფილი საქართველო: — აღმოსავლეთი ცალკე და დასავლეთი მისთვის. ნახევარი საქართველოთი ერეკლე მეორემ იხსნა ჩვენი სამშობლო.

მისი ბრძოლები ატარებს ჩვენი ეროვნული გადარჩენის ეპიზოდებს. ასეთად უნდა ჩაითვალოს და ვიგულისხმოთ ყველა ერეკლეს მიერ გადახდილი ომები და მათ შორის ცნობილი ასპინძის ომიც.

ერეკლეს მეფობა ჩვენს ისტორიაში დიდ მნიშვნელოვანია; მას მიეწერება საქართველოს გადარჩენა. ისიც მართალია, რომ ერეკლემ საჭიროდ დაინახა რუსული ორიენტაცია, მაგრამ ამაზე სხვა დროს და სხვა ალაგას. თუმცა ერთს ვიტყვით: ალექსანდრე ბატონიშვილს ხალხი არ გაჰყვა, მიუხედავათ იმისა, რომ ის ანტირუსული ძალა იყო და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ხალხი სწორედ იმიტომ არ გაჰყვა, რომ ის მუსულმანურ ძალებს ეყრდნობოდა, რაც ჩვენი ერის მწარე გამოცდილებისათვის სავსევით მიუღებელი იყო.

ერეკლე მეფის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენი ეროვნული პიროვნებისთვის ბრძოლა და შრომაა. ამის არ დავიწყება ჩვენი ვალია.

**პატივისცემით თქვენდამი გ. წერეთელი**

(წერილი მიმართულია ქართული სათვისტომოს მდივნის ბ-ნ ალ. ჯინჭარაძესადმი)

---

## გიორგი ოდიშელიძე

აპრილის 17-ს, 1970 წ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მაიორი გიორგი ოდიშელიძე. დაასაფლავეს აპრილის 22-ს, შატუს (საფრანგეთი) სასაფლაოზე.

გ. ოდიშელიძე დაიბადა თელავში 1899 წ. დაამთავრა თბილისის 1-ლი გიმნაზია. 1919-21 წწ. ის იყო ქართული სამხედრო სკოლის ზემდეგი. 1921 წ. მთელი სკოლის შემადგენლობასთან ერთად გაიგზავნა ტაბახმელაზე შემოსეული მტრების შსაჩერებლად, რაც სკოლამ ბრწყინვალედ შეასრულა. თბილისიდან დახევის დროს ის იყო მთავარსარდლის განკარგულებაში, მთელ იუნკრებთან ერთად, და ბოლოს გაიხიზნა სტამბოლში. ამავე წელს ის გაიგზავნა საფრანგეთის სამხედრო სკოლაში (ნიკოლოზ თოხაძე, ვანო ვაჩნაძე, ალ. კინწურაიშვილი და ალ. ჯინჭარაძესთან ერთად), რაც მან დაასრულა 1922 წ. და მიიღო უნცროსი ლეიტენანტის ხარისხი. ამავე წელს ის მიღებულ იქმნა სატანკო სკოლაში, ვერსალში, რის დასრულების შემდეგ გაგზავნილ იქმნა 513-ტე ტანკების ათასეულში ქ. ნანსში. 1924 წ. მივლინებულ იქმნა 8-ვე საინჟინერო ბატალიონში — კავშირის გადაცემის (რადიო, ტელეგრაფი, ტელეფონი) დახელოვნებისათვის. სათანადო გაწვრთვნის შემდეგ მან მიიღო მინდობილობა მაი-ს ბანაკში მოეწყო ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელი, რაც სანაქებოდ შეასრულა. 1926 წ. ამავე საინჟინერო ბატალიონის გუნდით ის გაიგზავნა ლებანონში, ბეირუთის სამხედრო და საერო ტელეფონ-ტელეგრაფის მოსაწყობად, აგრეთვე სამხედრო შტაბის გადასაცემ განყოფილების სახელმძღვანელოდ. სამი წლის შემდეგ ის გაიგზავნა სამხრეთ ალჟირის და მაროკოს მთავარსარდლის შტაბის რადიო გადაცემის და კავშირის უფროსად, სადაც მან მიიღო მონაწილეობა ყველა სამხედრო ოპერაციებში სამხრეთ მაროკოს საჰარის განაპირას. 1937 წ. ის მსახურობს მაროკოში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას ის დანიშნეს ქართული ერთეულის უფროსად ბარკარეს-ში (საფრანგეთი). ერთეულის დაშლის შემდეგ, ის ორი წლით გაიგზავნა საჰარის ნაწილების გადაცემის უფროსად. 1945 წ. მიიწვიეს სამხედრო სამინისტროს ტელე-კომუნიკაციის განყოფილებაში (პარიზში). მან სამხედრო სამსახური დასტოვა 1947 წლის ბოლოს სრული პენსიით და როგორც დახელოვნებული სპეციალისტი, რამოდენიმე წელიწადი მსახურობდა სამხედრო სამინისტროს მეცნიერული გამოკვლევის განყოფილებაში.

დაჯილდოვებული საპატიო ლეგიონის ოფიცრის ხარისხით, ოთხჯერ სამხედრო ჯვრით ბრძოლებისათვის, აგრეთვე 17 წლის განმავლობაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისათვის კოლონიალური მენდლებით წარწერით: —მაროკო“, „საჰარა“, „ტუნისი“, „დასავლეთ აფრიკა“ და სხ. მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა ფრანგულ ჯარში. მან თავისი მოვალეობა, როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთში, პირნათლად შეასრულა და თავისი რაინდული მოქცევით ქართველის სახელი მაღლა დააყენა.

წესი აუგო მამა ილიამ, წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც თავი მოიყარა ურიცხვმა მეგობრებმა; როგორც ქართველებმა, ისე ფრანგებმა. სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი ლტ.-კოლონელი დე ვეისსიერ-ის თანადასწრებით. აგრეთვე ლეგიონის წამომადგენელი მაიორ ვერერუი-ს, არმიის გენერლის ჟ. ოლიე-ს და სხ. საპატიო დარაჯათ ოთხი ლეგიონერი იყო მივლინებული. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა კოლონელ ნ. თოხაძემ.

გიორგი იყო გენერალ ოდიშელიძეს ბიძაშვილი. მისი მეუღლით, ქ-ნ თამარ კვინიტაძეს ასულით, მან შექმნა ნამდვილი ქართული ოჯახი. აღზარდა ორი ვაჟი და ერთი ასული. დინჯი, მორიდებული, ფაქიზი ადამიანი, მეტად საგრძნობია ჩვენთვის მისი გარდაცვალება, მისი ოჯახი იყო კერა ყველა იუნკრებისა, სადაც თავს ვიყრიდით ნამდვილ ქართულ სტუმართმოყვარულ ოჯახში.

დაუვიწყარი იქნება მისი სახელი ჩვენს გულში.

ალ. ჯინჭარაძე

---

## „ისტორია კრემლის ყაიდაზე“

აპრილის შუა რიცხვებში სამსახურიდან მიმავლინეს კანადაში. თვითმფრინავიდან თვითმფრინავზე გადაჯდომის დროს ჩიკაგოს ოჰარას აეროპორტზე კიოსკში გაზეთის დილაადრიანი გამოშვება ვიყიდე და, როგორც ქართველს, თვალიდან არ გამომეპარა მესამე გვერდზე დაბეჭდილი სათაური — „სტალინის გამობრძანება საბჭოთა ენციკლოპედიიდან“. წერილის ავტორი მოსკოვიდან იტყობინებოდა, რომ საბჭოთა ენციკლოპედიის ახალი გამოცემის პირველი ტომი უკვე გამოქვეყნდა, რომ წიგნი შეიცავდა სიტყვებს „ანიდან“ „აგრობამდის“ და რომ ახალ ტომეულში სტალინის ციტატების პოვნა წყალწაღებული საქმე იყო.

კორესპონდენტი აღნიშნავდა იმასაც, რომ ენციკლოპედიის უკანასკნელი გამოშვებიდან 21 წელი გავიდა და რომ ახალი ენციკლოპედიის ავტორებმა ისტორიას და ფაქტებს პარტიის ხაზისათვის მისაღები რევიზია გაუკეთეს, რაც, ავტორის სიტყვით, ჩვეულებრივი ამბავია და რომ ისტორიულ პიროვნებებს შორის — ამ სტატიას თუ დაუჯერებთ — სტალინმა ყველაზე მეტი წააგო.

მაგალითად — 1949 წლის პირველი ტომის ავტორებმა 4-ჯერ იპოვეს საბაბი, რომ დაებეჭდათ სტალინის პორტრეტები:

ავიღლოვმა — საბჭოთა მხატვარი, სახელი გაითქვა ბელადების ტილოების ფერწერით. ბუნებრივია, რომ საილუსტრაციოდ სტალინის პორტრეტი იყო მოყვანილი ამ გვერდზე.

ავრორა — სამხედრო გემი, რომელმაც ისროლა რევოლუციის დაწყების ყუმბარა, ვერაფერს გააკეთებდა სტალინს ყური რომ არ დაეგდო ზარბაზნის გასროლისათვის.

ვერც სიტყვა აგიტაცია დაიბეჭდებოდა და აიწერებოდა იოსებ ბესარიონის ძის სახელის გარეშე.

რასაკვირველია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღწერისათვის აუცილებელი იყო ეჩვენებინათ აჯანყებულ მუშების დემონსტრაცია სტალინის ხელმძღვანელობით.

ძველ ენციკლოპედიაში ავტოგრაფების სექციაში მთელი გვერდი დათმობილი ჰქონდა სტალინის ხელთნაწერს და ნახევარი გვერდი ეჭირა სტალინის მწვერვალის სურათს აზიის ქვესათაურის ქვეშ.

ენციკლოპედია, იწერება ავტორი, გვერდს ვერ აუვლის სტალინის სახელს, როცა „ს“ ტომეული გამოქვეყნდება. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ახალი რედაქცია საჭირო სიფრთხილეს გამოიჩენს და სტალინის ქება-დიდებას შეამცირებს, მის როლს გააქარწყლებს და სტალინის მნიშვნელობას მინიმუმამდე დაიყვანს, ახალი მეთაურობის შესაბამისად“.

ამ ეპიზოდს ალბად გადავივიწყებდი, რომ მივლინების დასასრულს ერთ თანამემამულესთან არ გავჩერებულიყავი და ადგილობრივი გაზეთის მოწინავეში ქვემო მოყვაეილი სტრიქონები არ წამეკითხა:

„ისტორია კრემლის ყაიდაზე“

„იოსებ სტალინის დიდად გაზვიადებული სახელი საბჭოთა ენციკლოპედიის წინანდელ გამოცემაში, ძალიან მჭლედ გამოიყურება. ახალი გამოცემის პირველ ტომში.

„ეჭვს გარეშეა ეს გამოცემაც ტიპიურია რუსული ტრადიციისათვის — ისტორია ყოველთვის იწერება კრემლის მესვეურების გულის მოსაგებად.

„რამოდენიმე წელი გაივლის ვიდრე გამომცემლები მიაღწევენ ასო „ს“ და ამ ხნის განმავლობაში ადვილი შესაძლებელია, რომ სტალინი ისევ დაუბრუნდეს რუსულ ოფიციალურ ისტორიას როგორც გმირი.

„რუსული „აიწონა-დაიწონა“ ყაიდის მოპყრობა ისტორიულ პიროვნებების მიმართ იმდენად გზა-კვალის ამრევი უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქესათვის, რამდენათაც სასაცილოა უცხოელებისათვის. კრემლის ბატონპატრონებისთვის კი ჩვეულებრივი ამბავია ფაქტის ფანტაზიად და ფანტაზიის უყოყმანოდ გაფაქტება.

„მაგალითად საბჭოთა ტერმინოლოგიის თანახმად, გერმანიის რუსეთზე თავდასხმას ეწოდება „ფაშისტური აგრესია“, საბჭოთა ინვაზია ჩეხოსლოვაში კი „ძმური სოციალიზმია“.

მივლინების დამთავრების შემდეგ დირექტორმა თათბირზე დამიძახა და საქმეზე ლაპარაკი რომ მოვათავეთ, საუბარი ჩემს მოგზაურობაზე გადავიდა. სხვათა შორის დირექტორს უამბე საბჭოთა ახალი ენციკლოპედიის შესახებ და უჩვენე გაზეთების ამონაჭრები. მან სწრაფად გადაიკითხა დაბეჭდილი სტრიქონები, ტექსტს ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი, ჩაფიქრებული სახე მიიღო, თავი გაიქნ-გამოიქნია და სერიოზული ტონით სთქვა:

„წარმომიდგენია როგორ ავარდება ძველი ენციკლოპედიის ფასი! რას ფიქრობ, რამდენს გააკეთებს იღბლიანი კაცი, ვისაც ხელში ექნება ასეთი უნიკუმი?„

მე სწრაფად გამირბინა თავში საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-ტე მუხლმა და დაუყონებლივ უპასუხე:

„ახალი კურსით არ ვიცი, მაგრამ ძველი კურსით 8 წლიან ექსკურსიას ციმბირის ტაიგში“.

არა მგონია, რომ მან აზრი გაუგო ჩემს პასუხს. ოთახი რომ დავტოვე ისევ სივრცეში იცქირებოდა და ჩემს შეფასებას სხვა გონიოთი ზომავდა.

**მოგზაური**

---

## ქართულ სათვისტომოში

მაისის 4-ს, სათვისტომოს გამგეობის ინიციატივით, საკუთარ სახლში, ქართულმა საზოგადოებამ გადაიხადა ასპინძის ომის ორასი წლისთავი.

დიდი ზეიმით იქმნა აღნიშნული ჩვენ წინაპართა სიმხნევე, მამულისადმი მიძღვნილობა და ურიცხვ მტერზე გამარჯვება. ასპინძის ომით საქართველომ დაამტკიცა, რომ სამშობლოს უზენაესობის გრძნობებში დავაჟკაცებულ ქართველებისათვის მტრის სიმრავლე არაფერს ნიშნავს და მცირე რიცხოვან ქართველებს შეუძლიანთ მრავალ რიცხოვანი მტრის ძლევა.

კრებაზე წაკითხულ იქმნა სხვა და სხვა ქვეყნებიდან მიღებული წერილები, რომლებსაც ჩვენი მკითხველი წინამდებარე გაზეთიდან გაეცნობა.

---

საქართველოს დამოუკიდებლობის 52 წლის თავის რეპორტაჟი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

---

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გასულ აპრილის 17-ს, (საფრანგეთში) გარდაიცვალა ფრანგული ჯარის დამსახურებული ოფიცერი, ყოფილი ქართული სამხედრო სასწავლებლის იუნკერი

**გიორგი ოდიშელიძე**

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს და მეგობრებს.

---

დიდი მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ივნისის 27-ს (საფრანგეთში) გარდაიცვალა ყოფილი ქართველი იუნკერი

**ვანო ბაქრაძე**

განსვენებულმა თავისი მამულიშვილური მოვალეობა პირნათლად შეასრულა, როდესაც, ქართველობამ იფიქრე, რომ ამის დრო დადგა.

ულრმეს თანაგრძნობას უცხადებთ მის მეგობრებს.

---

**G. A. Press**

**ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.**

**114 St. Mark's Place,**
**Tel.: 473 - 0240**
**New York 10009, N. Y.**

---

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

*Mr. G. Djakeli*
***535 E. 78 Street,***
*New York, N. Y. 10021*

**ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

---

***EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.***
***EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.***